განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართალი/LAW

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

13.11.2019

25.11.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	218076542

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი/LAW
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი/Master of Law 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო შენგელია, ,,კავკასიის უნივერსიტეტი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია, ,,კავკასიის უნივერსიტეტი“ საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ელისაბედაშვილი, კერძო აღმასრულებელი/ ოფისის (ბიუროს) ხელმძღვანელი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია წიკლაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან, როდესაც აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით სსიპ – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია გაერთიანების გზით.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა ბოლოს აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის N234 გადაწყვეტილებით და მას შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების (24 ECTS), საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო და არჩევითი საგნების (48 ECTS), კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო და არჩევითი საგნების (48 ECTS), სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო და არჩევითი საგნების (48 ECTS) და იურიდიული კლინიკის (18 ECTS) სახით.
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 ECTS).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 13 ნოემბერს. სასწავლო უნივერსიტეტმა დატოვა ძალიან დადებითი შთაბეჭდილება. ფაკულტეტი და ადმინისტრაცია დაკომპლექტებულია პროფესიონალი, მიზანდასახული და შრომისმოყვარე თანამშრომლებით, რომლებიც აქტიურად ზრუნავენ ზოგადად უნივერსიტეტის და სტუდენტების სასწავლო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში; ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ინფრასტრუქტურა და გასაუბრობოდნენ როგორც ფაკულტეტის სამეცნიერო და პედაგოგიურ პერსონალს, ასევე, ადმინისტრაციას, ახალ დეკანს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამართალის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდართებთან და სამართლის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის შემოწმებისას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და მოქმედი წესის მიხედვით პროგრამა, მისი კომპონენტები და განხორციელების პროცედურები შეფასებული იქნა შემდგენაირად:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტებთან

- **რეკომენდაციები**

2.6 სტანდარტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დასკვნითი შეფასების, ანუ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მიღებული შეფასების გასაჩივრების წესის განსაზღვრაზე.

3.1 სტანდარტთან მიმართებაში

- სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს თუმცა მოითხოვს გაძლიერებას. უნივერსისტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა ოდენობიდან გამომდინარე არსებული ადმინისტრაცილი რესურსი შეიძლება ნაკლებსაკმარისად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმუშავოს სპეციალური თანამშრომლების აყვანის, ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი.

4.3 სტანდარტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამართალში განსაკუთრებულად აქტუალური რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com-ს უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობის პრინციპზე, რამეთუ, აღნიშნული რესურსები ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.1 სტანდარტთან მიმართებაში

- საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალსიწინებს თავისუფალ კრედიტს, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემდა უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩია ნებისმიერი სასწავლო კურსი.
- ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია პროგრამზე განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტიდან ლექტორთა მოწვევა, ერთობლივი კვლევითი პროექტები, საგნების დამატება, სტუდენტთა მოტივირება რომ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით.

2.4 სტანდარტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა განაახლოს პარტნიორების მოძიება რათა შეძლოს იურიდიული კლინიკის კომპონენტის განხორციება და მოახდინოს არსებულ ხელშეკრულებებში სტუდენტთღა რაოდენობის განსაზღვრა.

2.6 სტანდარტთან მიმართებაში

- სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩვრების უფრო მოქნილი მექანიზმი, კერძოდ დეკანის საქმიანობის ეფექტურობის კიდევ უფრო ასამაღლებლად მიზანშეწონილია საჩივრების/აპელაციების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის შედარებით დაბალი სტრუქტურული რგოლის წარმომადგენელი თანამშრომელი;

3.1 სტანდარტთან მიმართებაში

- მიზანშეწონილია, სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდის მოდიფიცირება. სასურველია ის აღიჭურვოს მრავალი ისეთი საჭირო ფუნქციით როგორიცაა: სავალდებულო და არჩევით საგნებზე რეგისტრაცია, ყოველკვირეული შეფასებების ასახვა, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან მიმოწერისა და სხვა ფუნქციებით.

4.2 სტანდარტთან მიმართებაში

- **უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას აქვს სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია სამართლის სამაგისტრო პროგრამაში და თვითშეფასების ანგარიშში. კერძოდ, პროგრამამ მაგისტრანტს უნდა: (1) გამოუმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; (2) გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი; (3) გამოუმუშავოს საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი; (4) გამოუმუშავოს სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ასევე უნივერსიტეტის რესურსებს და დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამაში გაწერილი მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია როგორც ცოდნა-გაცნობიერების, ისე კომპეტენციურ და ღირებულებით ნაწილში. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის მოდიფიცირების დროს განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები. სსიპ გორის ეროვნული სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე. ინტერნაციონალიზაციის მიზნები და ამოცანები მოცემულია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის თანახმად, უნივერსიტეტს ჰყავს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები. საერთაშორისო თანამშრომლობა მოიცავს სტუდენტებისა

და პერსონალის გაცვლით პროგრამებს. Erasmus+ და სხვა გაცვლითი პროექტების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე სტუდენტმა. უნივერსიტეტში მოწვეული იქნა და საჯარო ლექცია წაიკითხა პოლონეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა. ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მუშაობენ პარტნიორთა გაზრდის მიმართულებით. მოლაპარაკების პროცესშია ბრალილიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საკითხი. თანამშრომლობენ ამერიკის უნივერსიტეტთან Tenesis University. სამართლის სამაგისტრო პროგრამა არის საჯარო, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველასთვის ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის სამაგისტრო პროგრამ; • მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • შრომის ბაზრის კვლევა; • უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდილოგია • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ გორის სასაწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამაგისტრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში.

სტუდენტს აქვს სწავლების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომლის საფუძველზეც მაგისტრანტმა უნდა შეძლოს: სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა მეთოდების გამოყენება; მიღებულ გადაწყვეტილებებზე პოზიტიური და ნეგატიური შედეგების პროგნოზირება; საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე კომუნიკაცია; აქტუალური სამეცნიერო პრობლემის დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზების შეთავაზება; ახალი სამართლებრივი დეფინიციების ჩამოყალიბება; სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სამართლებრივი ინფორმაციის სისტემატიზირება და შენახვა; უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსების გამოყენება; სამართლებრივი ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება და იურიდიული ტექნიკის მკაფიო დემონსტრირება; ინდივიდუალური და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტების შექმნა, იურიდიული ტექნიკის წესებისა და ეროვნული და უცხოური სამართალშემოქმედების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით; არასტანდარტული სიტუაციებში ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია; სამართლებრივი ხარვეზების გადალახვა; საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება; იურიდიულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დოკუმენტურად გაფორმება; მოქმედი კანონმდებლობისა და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის კვალიფიციური შეფასება, კანონიერების პრინციპის პოზიციიდან გამომდინარე; ადამიანის უფლებათა რეალიზაციისას საჯარო ხელისუფლების ორგანოთა ვალდებულებების განსაზღვრა; სამართალდარღვევის პრევენციის ღონისძიებების სისტემის შემუშავება და განხორციელება; აქტუალურ სამართლებრივ საკითხზე დამოუკიდებლად სამეცნიერო კვლევის განხორციელება, თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით; მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი, მისი სრულყოფის საჭიროების თვალსაზრისით; ახალი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაში შემდგომი ცვლილებების განსაზღვრა; შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ანალიზით სამართლის ნორმების პროფესიული განმარტება.

სწავლის შედეგი შეესაბამება სტუდენტის მიერ შეძენილ ცოდნას, უნარებსა და პროგრამის მიზნებს. სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის

კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

აკრედიტაციის ექსპერტების დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია მეტწილად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა უმჯობესი იქნება პრაქტიკული კურსების უფრო მეტად გაღრმავება. დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ გორის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან უფრო მაღალი კვალიფიკაციით, ვიდრე სხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები და ისინი დასაქმებული არიან კიდეც, უფრო მეტად, საჯარო სექტორში.

- უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც აღწერილია როგორც შეფასების პროცესი, ასევე მეთოდები, ინსტრუმენტები და სამიზნე ნიშნულები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სამართლის სამაგისტრო პროგრამის შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდა **პირდაპირი** (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი) და **არაპირდაპირი** მეთოდებით (კურსდამთავრებულებისა და მაგისტრანტების გამოკითხვის შედეგები, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება). გამოკითხვის შედეგებმაც აჩვენეს, რომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პარქტიკული კომპონენტით სწავლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაიზარდა იურიდიული კლინიკის კრედიტი, ხოლო სასწავლო კურსების სწავლების მეთოდოლოგიის ფორმირებისას ყურადღება გამახვილდა პრაქტიკული ქეისებით სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენებაზე.

სამაგისტრო პროგრამაში გაწერილი მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია როგორც ცოდნა-გაცნობიერების, ისე კომპეტენციურ და ღირებულებით ნაწილში. კურიკულუმი თანხვედრაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან, საგნების სპეციფიკა და მათში გაწერილი მიზნები შეესატყვისება პროგრამის მიზნებს.

პროგრამის მიზნები ასახულია პროგრამაში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდ

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე დაიშვებიან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის ის მსურველები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ფორმა, შინაარსი და პროცედურა, ასევე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.gu.edu.ge) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gu.edu.ge/ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი. • უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის 2019 წლის 15 მარტის N4 განკარგულებით შეიქმნა სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, რომელსაც დაევალა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით პროგრამის თვითშეფასების განხორციელება და თვითშეფასების ანგარიშის მომზადება. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად, ჩართული იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის პირველივე სხდომაზე დაიგეგმა ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ჯგუფის წევრებისათვის განისაზღვრა ფუნქცია-მოვალეობები. კერძოდ, აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის პასუხისმგებლობები განისაზღვრა შემდეგი სახით:

- თვითშეფასების ანგარიშისათვის სტატისტიკური მონაცემებისა და სხვა ფაქტობრივი მასალის (ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და სტუდენტთა პროგრესიის დადგენა სასწავლო წლების მიხედვით,
- კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების პროცენტული მაჩვენებლების,
- ინფორმაცია პროგრამაზე აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის შესახებ, ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებლის, ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

მაჩვენებლის,

- ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებლების) შეგროვება
- თვითშეფასების დანართით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენა
- საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებთან - სტუდენტებთან, პროგრამის პერსონალთან, კუსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზება და მათი გამოკითხვების ჩატარება
- შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და გამოკითხვების შედეგების ანალიზის წარმოდგენა.

პროგრამის თვითშეფასების პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები განიხილებოდა თვითშეფასების ჯგუფის სხდომებზე. გადანაწილებული პასუხისმგებლობების მიხედვით, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან (კანცელარია, სტუდენტური სერვისები, ბიბლიოთეკა, ფაკულტეტები, იურიდიული სამსახური) თანამშრომლობით, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში, სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის შეფასება.

სტანდარტის თითოეულ კომპონენტთან მიმართებაში გამოვლინდა საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შემაჯამებელ ეტაპზე, თითოეული სტანდარტის მიხედვით მიღებული შედეგები განიხილა თვითშეფასების ჯგუფის სრულმა შემადგენლობამ, რა დროსაც მოხდა მოსაზრებათა შეჯერება, მასალის გარკვეული კორექტირება და თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, დაიგეგმა და ნაწილობრივ აღმოიფხვრა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებები. პროგრამის განვითარების მიზნით ჩამოყალიბებული რეკომენდაციები განსახილველად წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს.
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული.

პროგრამაში შემავალ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებზე, მათ შორის, თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება ხორციელდებოდეს საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული ადეკვატური წინაპირობით/წინაპირობებით. ამ შემთხვევაში უზრუნველვყოფილია ცოდნის თანმიმდევრული აკუმულირება და მისი გრადაცია ზოგადიდან კონკრეტულამდე/მარტივიდან რთულამდე/საბაზოდან ფართომდე.

პროგრამის სტრუქტურა:

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო

პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, პრაქტიკული თუ კვლევითი დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის/კომპონენტის შინაარსის სპეციფიკა გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და კვლევითი კომპონენტი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია

- სავალდებულო სასწავლო კურსების (24 ECTS),
- საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების (48 ECTS),
- კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების (48 ECTS),
- სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების (48 ECTS)
- იურიდიული კლინიკის (18 ECTS) სახით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 ECTS).

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

- **სავალდებულო სასწავლო კურსები (24 ECTS)** სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით სტუდენტი შეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას:
- **(B) საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსები (48 ECTS)** საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებს ხარჯზე - 30 კრედიტი. მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, სტუდენტმა 12 კრედიტი შეიძლება დააგროვოს კერძო სამართლის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

- **(C) კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსები (48 ECTS)** ერძო სამართლის მოდულის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებს ხარჯზე - 30 კრედიტი. მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, სტუდენტმა 12 კრედიტი შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

- **D) სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსები (48 ECTS)** სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებს ხარჯზე - 30 კრედიტი. მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, სტუდენტმა 12 კრედიტი შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

- **(E) იურიდიული კლინიკა (18 ECTS)** იურიდიული კლინიკის მიზანია სტუდენტისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემა. იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს სტუდენტებში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველების უნარის განვითარებასა და საბოლოოდ მაღალი კვალიფიკაციის იურისტის ჩვევების ჩამოყალიბებას.

- **(F) კვლევითი კომპონენტი (30 ECTS)** სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. ამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს საჯარო, კერძო ან სისხლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორცილების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ. პროგრამის შინაარსის სწავლის შედეგებთან შესაბისობის უზრუნველსაყოფად პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, რომელი კურსი სწავლის რომელ შედეგზე გადის. სწავლის შედეგების რუკა საუკეთესო საშუალებაა დავინახოთ, რამდენად არის პროგრამის შინაარსით სწავლის ყველა შედეგი დაფარული.

საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალსიწინებს თავისუფალ კომპონენტს, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემდა უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩია

ნებისმიერი სასწავლო კურსი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსოპერსონალის გამოკითხვის შედეგები ნათლად მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის კმაყოფილების დონე მაღალია. აღნიშნული გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაცია:

- მიზანშეწონილია, რომ სასწავლო უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საჭიროებანი პროფესიული განვითარების კუთხით და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა რომ ამ მიმართულებით მუშაობის პროცესი ხორციელდება.

სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე საგანამანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი დასკვნა:

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის მიზანშეწონილია გაიზარდოს პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებში (საზაფხულო სკოლებში, გაცვლით პროგრამებში, მობილობებში).

ინტერვიურების დროსაც გამოვლინდა ეს საკითხი. მაგისტრატურის სტუდენტთა ჩართულობა ნაკლებია.

სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია, რაც გასაუმჯობესელ მხარეშია მითითებული. პროგრამით განსაზღვრულია მიღების კრიტერიუმი რაც გულისხმობს ინგლისური ენის ჩაბარებას. ასევე სტუდენტი სავალდებულო კომპონენტში გადის სამართლებრივ კომუნიკაციას ინგლისურად და ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოვება (ინგლისურ ენაზე) თუმცა ეს არის არის საკმარისი. რეკომენდირებულია სასწავლო უნივერსიტეტმა იფიქროს ახალი ინგლისურენვანი სასწავლო კურსების დამატებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიღწეულ წარმატებულ შედეგებს წარმოადგენს:

- პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა სანქტ-პეტერბურგში საერთაშორისო კონფერენცია, კიევის ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტში საჯარო ლექციის წაკითხვა, კიევში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მიღება (GEORGIA - EUROPEAN ASSOCIATION STATE NOT POST-SOVIET COUNTRY, International Conference – the 10th Anniversary of the Eastern Partnership: Lessons Learnt, Current Challenges and Future Perspectives. Kiev, Ukraine); საერთაშორისო სემინარში მონაწილეობა, კურსის ჩატარება გერმანიაში და ა.შ.
- ერასმუს+ მობილობის ფარგლებში საჯარო ლექციები ჩაატარა პოლონეთის ოპოლეს ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ფილიპ ტერეშკევიჩმა;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის სასწავლო

გეგმით გათვალისწინებულია ინგლისური ენის შესწავლა. ამასთან ერთად, დარგობრივი სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი სავალდებულო ლიტერატურის სახით ითვალისწინებს ინგლისურენოვანი თანამედროვე სასწავლო ლიტერატურის გამოყენებას.

- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალის წარმომადგენლებს აქვთ სამეცნიერო პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა ღონისძიებებში.

ინტერვიურების დროს განხილული იქნა ინტერნაციონალიზაციის საკითხი და გამოირკვა რომ სამომავლოდ იგეგმება ინგლისურენვანი საგნების დამატების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა გააქტიურებას გაცვლითი პროგრამით სარგებლობის ნაწილში. სასურველია განხორციელდეს სტუდენტთა მოტივირება ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანია გაიზარდოს პარტნიორ უნივერსიტეტთა რიცხვი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დასაქმების ბაზართან შესაბამისობის თაობაზე მათი მოსაზრებების გამოვლენის მიზნით განხორციელდა მათი გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებთან, მათ განვითარებასთან დაკავშირებული კითხვების გარდა აღნიშნული კითხვარი ითვალისწინებდა დამსაქმებლის მიერ პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციათა შეფასებას (თუ დაწესებულებაში მუშაობდა პროგრამის კურსდამთავრებული).

გამოვლინდა გარკვეული გარემოებანი, რომელთა საფუძველზე პროგრამის განვითარების მიზნით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია პროგრამის იმ კომპონენტების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე;

2. მიზანშეწონილია, პროგრამაში სასწავლო კომპონენტების გარკვეული ნაწილი ისწავლებოდეს ინგლისურ ენაზე;

3. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ დამსაქმებლები სურვილს გამოთქვამენ, მეტი ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო სასწავლო კურსების საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანას.

ბოლო აკრედიტაციის შემდეგ (2014 წლის დეკემბრიდან დღემდე) სამართლის სამაგისტრო პროგრამაში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- სასწავლო კურსის სილაბუსებში შეტანილი იქნა ცვლილებები და სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ჩამოყალიბდა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;
- სასწავლო კურსების სილაბუსებში დაზუსტდა შეფასების ფორმები და კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე სწავლა/სწავლების მეთოდები;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის კვლევით კომპონენტში გაუქმდა აღნიშნული კომპონენტის დამოუკიდებელი ნაწილი - სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი (6 ECTS) და სამაგისტრო პროგრამის კვლევით კომპონენტად განისაზღვრა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (30 ECTS).

- ცვლილებებით განისაზღვრა სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

პროგრამის კვლევით კომპონენტში განხორციელებული ცვლილება განპირობებული იყო „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის №3 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებებით, რომლის თანახმადაც, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება უნდა განხორციელდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) და შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდები და კრიტერიუმები.

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურენოვანი სავალდებულო სასწავლო კურსი „საქმიანი კომუნიკაცია“ მოდიფიცირებული იქნა სასწავლო კურსად „სამართლებრივი კომუნიკაცია“. აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს ინგლისურ ენაზე შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეფექტური ზეპირი და წერითი სამართლებრივი კომუნიკაციის პრინციპების, პროცესისა და ძირითადი ეტაპების, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის სახეების, სამართლებრივი კომუნიკაციის პრინციპების, სამართლებრივი კომუნიკაციის დადებითი და უარყოფითი ასპექტების, სამართლებრივი დოკუმენტების ფორმალური და ტექნიკური ენის, ოფიციალური წერის თავისებურებების შესახებ და გამოუმუშავოს ეფექტური ზეპირი და წერითი სამართლებრივი კომუნიკაციის, ზეპირი და წერილობითი შეტყობინების ეფექტური პროდუცირებასა და კონსტრუირების, ასევე საგამოძიებო, საპროკურორო, სასამართლო, საადვოკატო კომუნიკაციის უნარები.
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსი „ევროკავშირის სამართალი“ მოდიფიცირებული იქნა სავალდებულო სასწავლო კურსად „ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოვება“. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ევროკავშირის სამართლებრივი ბუნების, ევროკავშირის სამართლის წყაროების, მათი იერარქიის, ასოცირების შეთანხმების ზოგადი სტრუქტურისა და ძირითადი დებულებების, სამართლებრივი აპროქსიმაციის ცნებისა და არსის, ევროპასთან ასოცირების პოლიტიკის კონცეფციური და სტრატეგიული საკითხების შესახებ.
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსს „აკადემიური წერა იურისტებისთვის“ დაემატა კვლევის მეთოდების თემატიკაც და საბოლოოდ კურსის სახელწოდებად განისაზღვრა „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“.
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დაემატა „პროფესიული ეთიკა“. აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტი იღებს ღრმა და სისტემურ ცოდნას პროფესიული ეთიკის ძირითადი დებულებების, დისციპლინური წარმოების, საადვოკატო, სამოსამართლეო, საპროკურორო და სანოტარო ეთიკის მარეგულირებელი ნორმების, იურიდიული პროფესიების ზნეობრივი ასპექტების, ასევე ამ პროფესიების წარმომადგენლების სამსახურებრივი და არასამსახურებრივი საქმიანობის მორალური სტანდარტებისა და მორალური ასპექტების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე (სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის

სფეროში), კერძო, სისხლისა და საჯარო სამართლის მოდულებით განისაზღვრა არა მხოლოდ მოდულის არჩევითი, არამედ სავალდებულო სასწავლო კურსებიც. ამასთან,

- კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები „შედარებითი კერძო სამართალი“ და „შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი“ გაერთიანდა ერთ სავალდებულო სასწავლო კურსად - „შედარებითი კერძო სამართალი“
- და ამავე მოდულს არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატა „შედარებითი შრომის სამართალი“.
- სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით, შეიცვალა ამავე მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების „საბანკო სამართალი“-ს და „სადაზღვევო სამართალი“-ს თემატიკა და შეფასების მეთოდები. სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულ სასწავლო კურსებს ეწოდა „საბანკო სამართალი: ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“, „სადაზღვევო სამართალი: ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა“. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებებით გათვალისწინებულ შეფასების მეთოდებს დაემატა პრაქტიკული დავალება და განისაზღვრა შესრულებული პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები.

სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები „ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“, „საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“ და „ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები“ გაერთიანდა ერთ არჩევით სასწავლო კურსად - „ქმედების იურიდიული შეფასების (სუბსუმციის) და დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები“.
ამასთან, სისხლის სამართლის მოდულიდან ამოღებული იქნა არჩევითი სასწავლო კურსი „შედარებითი სისხლის სამართალი და იგი ჩანაცვლდა არჩევითი სასწავლო კურსით - „ევროპული სისხლის სამართალი“.

საგანმანათლებლო პროგრამის სისხლის სამართლის მოდულიდან ამოღებული და გადატანილი იქნა სამართლის საბაკალავრო პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსი „დაცვის ხელოვნება“ და მის ნაცვლად აღნიშნულ მოდულს არჩევითი სასწავლო კურსის სახით დაემატა - „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“. საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა“ მოდიფიცირებული იქნა სავალდებულო სასწავლო კურსად - „შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი“.

ასევე, 2014 წლიდან დღემდე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. შესაბამისად, გაიზარდა იურიდიული კლინიკების რაოდენობა და სტუდენტებს მიეცათ მეტი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა; გაიზარდა საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების რიცხვი.
- ერიოდულად მიმდინარეობდა სწავლა/სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებში პროფესიული კუთხით პერსონალის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები. აღნიშნული პროცესის დახვეწის მიზნით უწყვეტი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეიმუშავებს ყოველწლიურ გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ტრენინგების ორგანიზება და განხორციელება;

სამართლის მიმართულებით ჩატარდა საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციები, მოეწყო საჯარო ლექციები უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მიერ. ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესები სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. პროგრამის შინაარსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სავალდებულო და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა, რომელიც განახლდა და მოხდა მისი სრულყოფა. ამასთან, გადაიხედა და განახლდა არა მხოლოდ სასწავლო ლიტერატურა, არამედ პროგრამის შინაარსიც, სტრუქტურის თანმიმდევრულობაც, სასწავლო გეგმაც. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდი. ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები როგორც საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულებთან, ასევე ახლადჩარიცხულ სდენტებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია (სსიპგორისსახელმწიფოსასწავლოუნივერსიტეტისაკადემიურისაბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-12 დადგენილება) • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია; • პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები • გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალსიწინებს თავისუფალ კრედიტს, რომელიც სტუდენტს საშუალებას მისცემდა უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩია ნებისმიერი სასწავლო კურსი. • ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია პროგრამზე განხორციელდეს პარტნიორი უნივერსიტეტიდან ლექტორთა მოწვევა, ერთობლივი კვლევითი პროექტები, საგნების დამატება, სტუდენტთა მოტივირება რომ ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო და კურსები, ასევე პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს. მათი სწორი თანაფარდობით გამოყენება უზრუ ნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მოდულის მრავაფლეროვნებიდან გმაომდინარე სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი ინტერესების შესაბამისად აირჩიოს მოდული. პროგრამის შესაბამისად სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მისი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიოს კონკრეტული სასწავლო მოდული, ასევე ის არ არის შეზღუდული სხვა მოდულებიდანაც დაიმატოს საგნები. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ საგნებს მინიჭებული აქვს კრედიტები, რომლებიც შესაბამისობაშია სტადარტებთან. სილაბუსების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კრედიტები გადანაწილებულია კონკრეტული საგნის მოცულობიდან გამომდინარე და შესაბამისობაში მოდის კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან. ყველა საგანს, მათ შორის - **„ კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა“; „ევროპული სისხლის სამართალი“; „ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმები“; „ საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი“;** მინიჭებული აქვს 6 კრედიტი, ამ საგნების სილაბუსების შენაარსის, ასათვისებელი მასალისა და დატვირთვის შესწავლის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ რომ კრედიტების რაოდენობა სრულად შეესაბამება კურსის მოცულობას. 18 კრედიტი მინიჭებული აქვს პრაქტიკას სამართლის კლინიკაში, რომელიც მოიცავს 441 საათს - საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის კლინიკური სწავლებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, საკანონმდებლო ორგანოში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში, ადვოკატთა ასოციაციაში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, კერძო სამართლის იურიდიული პირების იურიდიულ სამსახურებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში პრაქტიკულ სამუშაოს სახით და 9 საათს დამოუკიდებელ მუშაობას. დასკვნითი გამოცდა/პრაქტიკის ანგარიშისთვის განკუთვნილია 1 საათი. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს სამაგისტრო პროგრამის

განვითარებაზე და პერიოდულად ხდება საგნების დამატება/შეცვლა/დახვეწა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ვხვდებით საგნებს, რომელთა სათაური უფრო მეტად კავშირშია საბაკალავრო საფეხურთან, მაგრამ სილაბუსის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ის სრულად შესაბამისობაშია მაგისტრატურის საფეხურისთვის. რიგ შემთხვევებში სათაური ზოგადი ხასიათისაა და კურსის შინაარს კონკრეტულად არ გადმოვგცემს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო პროგრამა • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან • ინტერვიუები სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა • სილაბუსები • აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტში მოქმედებს იურიდიული კლინიკა, სადაც სტუდენტს 18 კრედიტის ფარგლებში შეუძლია გაიაროს პრაქტიკა, ასევე მის ალტარნატივას წარმოადგენს პრაქტიკის გავლა იმ ორგანიზაციებში, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. ეს კომპონენტი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტმა თეორიულად მიღებული ცოდნის რეალიზაცია მოახდინოს , რაც ხელს უწყობს მისი როგორ პროფესიონალის ჩამოყალიბებას. სამართლის კლინიკა მუშაობს გამართულად და რეალურად აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს მიიღოს დიდი პრაქტიკული გამოცდილება. კლინიკა უზრუნველყოფილია საჭირო ტექნიკით. ასევე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემარანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე, რაც აძლევთ შესაძლებლობას რეალურ პროცესში გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია იურიდიული კლინიკა. შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები რათა შესძლონ ამ კომპონენტის განხორციელება. ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგთან: • იუსტიციის სასწავლო ცენტრი • მედიაციის ცენტრი • მარინა ჩიტაძე • მერია • ნათია ჯავახიშვილი • საკრებულო • ტანია რაზმაძე • სამოქალაქო განათლების ცენტრი • სამხედრო ჰოსპიტალი • საუბრები რეგიონალიზმზე • საქართველოს პროკურატურა • ცესკო ზემოთ ჩამოთვლილთაგან ხელშეკრულებაში არ აქვს დადგენილი სტუდენტთა რაოდენობა თუ რამდენის მიღებას შეძლებენ. ესენია: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, მედიაციის ცენტრი, სამოქალაქო განათლების ცენტრი, სამხედრო ჰოსპიტალი და საქართველოს პროკურატურა. რაც შეეხება ცესკოს ის ამ დროისთვის მოქმედი არ არის. სასწავლო უნივერსიტეტმა შემოგვთავაზა სილაბუსი, სადაც გაწერილია მიზანი, შედეგი,

შეფასების ფორმები, მეთოდები. ინტერვიურების დროს დაზუსტთა რომ მოცემული მემორანდუმის საფუძველზე ხდება სემესტრში სილაბუსის განახლება და სპეციფიკის გათვალისწინება.

მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა განაახლოს პარტნიორების მოძიება რათა შეძლოს იურიდიული კლინიკის კომპონენტის განხორციება და მოახდინოს არსებულ ხელშეკრულებებში რაოდენობის განსაზღვრა.

სამაგისტრო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, რაც აუცილებელი წინა პირობაა მაგისტრის ხარისხის მინიჭებისთვის. უნივერსიტეტის ვებ-ვერდიდ შესაძლებელია წვდომა გააჩნია ელექტრონულ ბაზები (Cambridge University Press, Royal Society Journals Collection, OXFORD ACADEMIC Journals) რათა სტუდენტს არ გაუჭირდეს საჭირო მასალის მოძიება ნაშრომის დასაწერად. უნივერსიტეტს ასევე დადგენილი აქვს აკადემიური წერის სტანდარტები, რომელთა დაცვა სავალდებულოა.

უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს იმიტირებულ პროცესებს რისთვისაც შექმნილი აქვთ ასევე სასამართლოს იმიტირებული დარბაზი, რაც თავის მხრივ რეალურ გარემოს აჩვევს სტუდენტს და პრაქტიკულ უნარსაც გამოუმუშავებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობების ხარისხი კონტროლდება, ხარისხის სამსახური ახდენს მონიტორინგს. აქტივობებთან დაკავშირებით ხდება სტუდენტებისა და იმ ლექტორების გამოკითხვა, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში. აღნიშნული გარანტიაა იმისა, რომ სტუდენტისათვის მიწოდებული პროდუქტი სრულ შესაბამისობაში იქნება სტანდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა
- სილაბუსები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის CV
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა განაახლოს პარტნიორების მოძიება რათა შეძლოს იურიდიული კლინიკის კომპონენტის განხორციება და მოახდინოს არსებულ ხელშეკრულებებში სტუდენტთღა რაოდენობის განსაზღვრა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა. ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებისას გამოიყენება შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), სხვა.

სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

უნივერსიტეტს შეიმუშავებული აქვს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით იგეგმება შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობები (სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, ცალკეული უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი.

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები	
☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება ☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა	
სწავლის შედეგი	**წავლება-სწავლის მეთოდებისას გამოყენებული აქტივობები**
ცოდნა და გაცნობიერება	▪ ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი; ▪ წიგნზე მუშაობა; ▪ წერითი მუშაობა; ▪ ვერბალური ახსნა–განმარტება; ▪ დემონსტრირება; ▪ შემთხვევის ანალიზი (Case study); ▪ დამოუკიდებელი სწავლა; ▪ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ▪ გონებრივი იერიში (Brain storming).

უნარი	ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (lBD); როლური და სიტუაციური თამაშები; შემთხვევის ანალიზი (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); ევრისტიკული მეთოდი; გუნდური (collaborative) მუშაობა; დისკუსია/დებატები; ანალიზი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა); პრაქტიკული მეთოდები.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); დისკუსია-დებატები, სადაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარ-ჩვევები; პრაქტიკული მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.
- სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, სტუდენტთა შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სტუდენტთა შეფასება მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს შესაბამისი კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის თანახმად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. საგანამანთლებლო პროგრამით შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილებულია და განსაზღვრულია ამგვარად:

- ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

- დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამით, დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასების ობიექტურობა დაცულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტებით (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

უნივერსიტეტის უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა იცოდეს, რა კომპონენტებით შეაფასებენ მის სასწავლო საქმიანობას. შეფასების ვალიდურობის უზრუნველსაყოფად თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით შერჩეულია სტუდენტის ცოდნისა და უნარების მაქსიმალურად ადეკვატური შეფასების მეთოდები (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების სანდოობა უზრუნველყოფილია კონკრეტულად ჩამოყალიბებული შეფასების ზუსტი და მკაფიო კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასება გამჭვირვალეა, ვინაიდან შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.

ინტერვიუირების პროცესში დადასტურდა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ლექტორი

საგნის სწავლებისას, სემესტრის პირველ სასწავლო კვირას, სტუდენტებს აცნობს და აანალიზებს შეფასების სისტემას. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები საშუალებას აძლევს ლექტორს გაზომოს სასწავლო შედეგი და მისი მიღწევის ხარისხი.

ინტერვიუირების პროცესში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმაც დაადასტურეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებით დგინდება, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსებით დგინდება, რომ სხვადახვა სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შეფასების კომპონენტები განსაზღვრულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითისათვის, სასწავლო კურსში შედარებითი ადმინისტრაციული სამართალი შეფასების კომპონენტებად განსაზღვრულია ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, შუალედური წერითი გამოცდა, ინდივიდუალური საშინაო დავალება და დასკვნითი წერითი გამოცდა. ხოლო, სასწავლო კურსში ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა შეფასების კომპონენტებად განსაზღვრულია, ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, შუალედური წერითი გამოცდა, იმიტირებული სასამართლო პროცესი და დასკვნითი წერითი გამოცდა.

სპეციფიკურია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტებიც. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია: საკვლევი თემის სიახლე და აქტუალობა, კვლევის მიზანი, შერჩეული მასალა, პირველწყაროები, ლიტერატურა, კვლევის მეთოდოლოგია, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, ჩატარებული კვლევის ხარისხი, საკუთარი იდეები და პოზიციები, დასკვნები და შედეგები, აკადემიური წერის კულტურა, ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება. ხოლო, სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებია: საპრზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე, აქტუალური პრობლემის დასმისა და წარმოჩენის უნარი, სიახლის დასაბუთების უნარი, კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი და მიწოდების ტექნიკა.

სამართლის საგანმანათლეპრო პროგამაში აღნიშნულია, რომ შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს განუმარტეს, რომ შეფასების შედეგები (მათ შორის შუალედური და დასკვნითი) სპეციალურ დაბეჭდილ უწყისში წერილობით აისახება სემესტრის ბოლოს. უწყისის შესაბამისი შეფასებები მხოლოდ სემესტრის ბოლოს აისახება ელექტრონული ფორმით სპეციალურ ბაზაში. ამგვარი წესი ხელს შეუშლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს ყოველკვირეულად აკონტროლოს მისი სწავლის შედეგები, შეაფასოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და გააუმჯობესონ შედეგები.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალისათვის შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების

განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას.

ამასთან, დადასტურდა რომ სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. აღნიშნული დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგებით. შესაბამისად, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი იღებენ კონსულტაციებსა და მხარდაჭერას ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია როგორც სამართლის სამაგისტრო პროგამა ისე შესაბამისი სილაბუსები.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას; საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. უკუკავშირის შედეგები ხელმისაწვდომია ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

ინტერვიუირების პროცესში პროგრამაში ჩართულმა აკადემურმა პერსონალის წარმომადგენლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტეს, რომ სტუდენტთა სწავლის შედეგებს აკვირდებიან. დაკვირვების ობიექტია აგრეთვე სტუდენტთა კონკრეტული კმაყოფილება, თუ უკმაყოფილება.

საგანმანათლებლო პროგრამით, სასწავლო პროცესის მარეგულრიებელი წესითა და ინტერვიუს შედეგებით ირკვევა, რომ სტუდენტს აქვს საშუალება გაასაჩივროს შეფასების შედეგები. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება შეფასების ან/და გამოცდის შედეგს, უფლებამოსილია, შეფასებიდან ან/და გამოცდიდან არაუგვიანეს ოთხი სამუშაო დღისა დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა.

უნივერსიტეტში დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად თავდაპირველ ეტაპზე შეფასებას გადახედავს ამავე შეფასების ავტორი. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში დეკანი ნიშნავს სპეციალურ კომისიას, რომელშიც შედის შეფასების განმახორციელებელი პირიც. შესაბამისი აპელაცია კომისიური წესით განიხილება. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფორმით აპელაციების განხორციელებამ შესაძლოა დააბრკოლოს ფაკულტეტის ადმინისტრაციის ისეთი წარმომადგენლის მუშაობა, როგორიცაა დეკანი, რომელსაც ისედაც მრავალი ფუნქციითაა დატვირთული. შესაბამისად, მიზანშეწონილია სტუდენტთა აპელაციის ადმინსიტრირების თვალსაზრისით განისაზღვროს სპეციალური თანამშრომელი.

აღსანიშნავია სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებული შეფასებების გასაჩივრების უნივერსიტეტში არსებული პროცედურებიც. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს #09-55 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულია "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი" (შემდგომში - „წესი“). ზემოაღშნიშნული „წესის“ მე-4 მუხლის მე-3[1] პუნქტის თანახმად მაგისტრანტი უფლებამოსილია გააპროტესტოს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით ხელმძღვანელის უარყოფითი გადაწყვეტილება და მიმართოს ფაკულტეტის დეკანს სათანადო საჩივრით სამაგისტრო ნაშრომის წარგენისათვის ფაკულტეტის საბჭოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში. ამავე მუხლის მე-3[2] პუნქტის თანახმად ფაკულტეტის დეკანის მიერ შექმნილი საპრეტენზიო კომისია საჩივრის მიღებიდან 2 დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და ითებს საბოლოო გადაწყვეტულებას. თუმცა, სასწავლო უნივერსიტეტს არ აქვს განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დასკვნითი შეფასების, ანუ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მიღებული შეფასების გასაჩივრების წესი. ამ შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებიდან ყურადღება გასამახვილებელია 2.6 სტანდარტის შინაარსზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. აღნიშნული აკრედიტაციის სტანდარტის შეფასების კრიტერიუმად განსაზღვრულია ის, რომ საგანმანათლელო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ამგვარი შესაძლებლობა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს უნდა ეძლეოდეს ყველა შეფასებასთან მიმართებაში, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მიღებულ შეფასებასთან მიმართებაში.“
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს #09-55 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი"; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი შესახებ დოკუმენტი; ○ ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დასკვნითი შეფასების, ანუ სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მიღებული შეფასების გასაჩივრების წესის განსაზღვრაზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს სწავლის შედეგების გასაჩვრების უფრო მოქნილი მექანიზმი, კერძოდ დეკანის საქმიანობის

ეფექტურობის კიდევ უფრო ასამაღლებლად მიზანშეწონილია საჩივრების/აპელაციების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადმინისტრაციის შედარებით დაბალი სტრუქტურული რგოლის წარმომადგენელი თანამშრომელი;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**
   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე კონსულტაციასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერას.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სტუდენტები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საკონსულტაციო სერვისების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებსაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს. მიზანშეწონილია, რომ საკონსულტაციო პროცესში ჩართული იყოს როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი.

აკრედიტაციის ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები იღებენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერაში მონაწილეობს უნივერსიტეტის არაერთი თანამშრომელი. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან მიიღონ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ. ვებ-გვერდზე სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია როგორც სასწავლო პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, ისე სასწავლო კურსების შესახებ მონაცემები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტთა უმეტესობა ვებ-გვერდზე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომად ასე დეტალურად არ ათავსებს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსებს. უნივერსიტეტთა უმეტესობა ამგვარ ინფორმაციას მხოლოდ საკუთარ სტუდენტებს აწვდის. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით მისასალმებელია.

გორის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ისეთი სამართლებრივი აქტები როგორებიცაა: სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის დებულება, სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი, სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრის დებულება, სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მიიღონ ფაკულტეტის დეკანის და ადმინისტრაციის სხვა წევრებისაგანაც.

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდიდან, ფაკულტეტის დეკანატისაგან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისაგან და კანცელარიისგან მიიღოს ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციების, შიდასაუნივერსიტეტო და სხვადასხვა ფონდების მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამების და სხვ.) შესახებ.

ამასთან, კონსულტაციების და დახმარების მიღება სტუდენტს შეუძლია ფაკულტეტის დეკანატში, ფაკულტეტის საქმისმწარმოებელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, კანცელარიაში და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში.

აღსანიშნავია, რომ საჭირო ინფორმაციის მიღება სტუდენტს შეუძლია, აგრეთვე, contact@gu.edu.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელსაც აკონტროლებს და სტუდენტის სურვილებზე, მოთხოვნებსა და მოსაზრებებზე რეაგირებას ახდენს სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

კომუნიკაციის საშუალებებად უნივერსიტეტში ეფექტურად გამოიყენება სოციალური ქსელებში შექმნილი სპეციალური ჯგუფები და გვერდები. ამავდროულად კონსულტაციის საშუალებებად გამოიყენება სატელეფონო შეტყობინებები და ზარები.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტის პირადი ელექტრონული სივრცეს არ აქვს მიმოწერის ფუნქცია არც ადმინისტრაციასთან და არც საგნის ლექტორთან.

სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდიდან სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ჩაბარებული და რეგისტრირებული (მიმდინარე) საგნების შესახებ, მიღებული შეფასებების შესახებ. აქვეა განთავსებული სტუდენტის პირადი მონაცემები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გვერდის ფუნქციები საკმაოდ შეზღუდულია მას არ აქვს სტუდენტის მიერ საგანზე რეგისტრაციის ფუნქციაც კი.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სტუდენტთა კონსულტაციის პროცესში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალიც. უნივერსიტეტის რეგულაციებით, პერსონალი ვალდებულია განახორციელოს საკონსულტაციო მომსახურება.

ვიზიტის შედეგად გამოირკვა, რომ აღნიშნული ვალდებულება პრაქტიკაშიც ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აუცილებელი კონსულტაცია პირადი შეხვედრების გზით მიიღონ აკადემიური და მოწვეული პერსონალისაგან. გარდა ამისა, პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას სოციალური ქსელისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, ისინი ყოველსემესტრულად უზრუნველყოფენ საკონსულტაციო დროის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივიერსიტეტის არაერთი სტრუქტურული რგოლი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის განმარტებით, კომუნიკაციის ძირითად საშუალებად გამოიყენება სოციალური ქსელი „ფეისბუკი“. ამასთან ერთად, კომუნიკაციის გავრცელებული ფორმებია სატალეფონო და პირადი კონსულტაციები.

სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს, თუმცა მოითხოვს გაძლიერებას. უნივერსისტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა ოდენობიდან გამომდინარე, არსებული ადმინისტრაცილი რესურსი შეიძლება ნაკლებსაკმარისად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმუშავოს სპეციალური თანამშრომლების აყვანის, ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის როლი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა კარიერული

განვითარების მხარდაჭერის საკითხშიც. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები სტუდენტს შეუძლია მიიღოს სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს ასევე სტუდენტის კარიერული განვითარების მხარდაჭერას. სასწავლო უნივერსიტეტის აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ბაზის ფორმირებას და ბაზაში დაფიქსირებული პირებისათვის დასაქმების ბაზარზე არსებული ვაკანსიების თაობაზე განახლებული ინფორმაციის მიწოდებას, დამსაქმებელთა აქტიური მონაწილეობით დასაქმების ფორუმების ორგანიზაციას, სტუდენტებისა და დამსაქმებლების დაკავშირების ხელშეწყობას, სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს და სხვ. ინტერვიურების დროს, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ გორის სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან ისინი ხშირად იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და ტრეინინგების შესახებ. ინფორმაციის მოწოდების ძირითად წყაროდ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სოციალურ ქსელებში შექმნილ სპეციალურ ჯგუფებსა და გვერდებს ასახელებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო უნივერსიტეტი თანამშრომლობს არაერთ პარტნიორ დამსაქმებელ ორგანიზაციასთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის რამდენიმე პარტნიორ დამსაქმებელს. ინტერვიუს ესწრებოდნენ ფინანსური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, იუსტიციის სახლის გორის ფილიალის და გორის რაიონული სასამართლოს წარმომადგენლები. ფინანსური პოლიციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ პრაქტიკის მიმართულებით. ორგანიზაცია რეგულარულად აწვდის უნივერსიტეტს ინფორმაციას იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებსაც კადრებს უყენებენ. ორგანიზაცია სტუდენტებს აძლევს აუცილებელ პრაქტიკულ ცოდნას. პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპანია აცნობებს უნივერსიტეტს, თუ რა არის გასაძლიერებელი მხარე და რა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში. იუსტიციის სახლის გორის ფილიალის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან პრაქტიკის მიმართულებით. იუსტიციის სახლის გორის ფილიალი ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტუდენტებს მუშაობასთან ერთად დაესწრონ ლექცია/სემინარებსა და გამოცდებს. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები დასაქმებულები არიან იუსტიციის სახლის გორის ფილიალში. გორის რაიონული სასამართლოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასამართლო რეგულარულად თანმშრომლობს უნივერსიტეტთან. უზრუნველყოფენ სტუდენტების დასწრებას სასამართლო პროცესებზე და მათ სხვადასხვაგვარ აქტივობებში ჩართვას. საერთო ჯამში, უნივრსიტეტის როლი კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით თვალსაჩინოა. თუმცა, დამსაქმებელთა წრის გაფართოვება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის კიდევ მეტი შედეგის მომტანი იქნება. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა შეისწავლა შრომის ბაზარი. კვლევის შედეგები აისახა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში, რომელშიც ასახულია შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა, პრობლემები და ძირითადი გამოწვევები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების მექანიზმი უნივერსიტეტში მუშაობს თუმცა მოითხოვს გაძლიერებას. უნივერსისტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა ოდენობიდან გამომდინარე არსებული ადმინისტრაცილი რესურსი შეიძლება ნაკლებსაკმარისად ჩაითვალოს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მართვის პოლიტიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, იმუშავოს სპეციალური თანამშრომლების აყვანის, ან სპეციალური სტრუქტურული ერთეულის შექმნის საკითხზე, რათა შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელდეს აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია, სტუდენტის პირადი ელექტრონული გვერდის მოდიფიცირება. სასურველია ის აღიჭურვოს მრავალი ისეთი საჭირო ფუნქციით როგორიცაა: სავალდებულო და არჩევით საგნებზე რეგისტრაცია, ყოველკვირეული შეფასებების ასახვა, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან მიმოწერისა და სხვა ფუნქციებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია, აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთა პროფესიონალიზმიც დასტურდება, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მიღებული განათლებით პროფესიული პრაქტიკით, აკადემიური ნაშრომებით, სამეცნიერო აქტივობით და სხვ. აკადემიური პერსონალი დაკომპლექტებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებით.

უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლებითა და სამუშაო გამოცდილებით.

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს #09-55 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულია "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი" (შემდგომში - „წესი“). ზემოაღშნიშნული „წესის“ 1.1 მუხლის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი. შესაბამისად, უნივერსიტეტში მაგისტრანტს შეიძლება ხელმძღვანელობდეს არამხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, არამედ მოწვეული პირიც. დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიიდან დასტურდება, რომ მაგისტრატებს უმეტესწილად ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

ზემოაღნიშნული „წესის“ 1.2 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელის ფუნქციებია: დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევაში და კვლევის გეგმის შედგენაში; სტუდენტთან ყოველკვირეული ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში ეტაპობრივად შეამოწმოს სტუდენტის მუშაობის პროცესი და მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები; ნაშრომის დასრულების შემდეგ მოამზადოს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს სათანადო დასკვნა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ მათ რეგულარული კონსულტაციები აქვთ მაგისტრატურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას.

აღსანიშნავია სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შერჩევის, რეგისტრაციისა და მასზე მუშაობის უნივერსიტეტში დადგენილი წესებიც. ზემოაღნიშნული „წესის“ 1.4. მუხლის თანახმად სამაგისტრო ნაშრომის თემას შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხელმძღვანელები ითვალისწინებენ მაგისტრანტთა ინტერესს და ეხმარებიან, როგორც სამაგისტრო თემის შერჩევაში ისე მის შესრულებაში.

უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიით დადასტურდა, რომ მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ სათანადო კომპეტენციის კადრები. ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება ადექვატურია და შესაფერისია მაგისტრანტის მიერ საკვლევ თემასთან.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაცული სამაგისტრო ნაშრომების სიასა და დაცულ სამაგისტრო ნაშრომებსაც. სამაგისტრო ნაშრომების სათაურები მეტ-ნაკლებად აქტუალურია და აქვს სამეცნიერო სიახლე. ხოლო, ნაშრომების შინაარსი დამაკმაყოფილებელია. ნაშრომებში დაცულია აკადემიური წერისა და მითითების

სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტში მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების მიმართ დადგენილია იმავე - სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს #09-55 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესით".
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 30 აგვისტოს #09-55 დადგენილებით დამტკიცებულია "სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიიჭების წესი, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი და სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელი" • ბოლო ხუთი წლის განმაბლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია; • პერსონალის პირადი საქმეები; • სამაგისტრო ნაშრომები; • დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია ხელმძღვანელების მითითებით; • ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა				

მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში, ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული ლექტორები, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობასაც ახორციელებენ, რაც მისასალმებელია, ვინაიდან თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის საუკეთესო შედეგებს იძლევა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 9 მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 აფილირებული აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 21. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 19 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა არის დაახლოებით 1,1. აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,63. პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა არის დაახლოებით 0,315. აღნიშნული მონაცემები საკმაოდ მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების

მისაღწევად. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვ დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის სამაგისტრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. მისასალმებელია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულიად დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აკრედიტაციის აღნიშნული სტანდარტის შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია, აკადემიური პერსონალი იყოს სამეცნიერო მიმართულებით სათანადოდ აქტიური, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უფრო სრულყოფილად შეძლოს სტუდენტისათვის ხელმძღვანელობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო კვლევებსა და აქტივობებში. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების უმეტესობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები; • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკურლებები; • ინტერვიუირების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: დაწესებულების ადმინისტრაცია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან რეგულარულად მართავს შეხვედრებს, ხდება სტუდენტებთან უშუალო კონტაქტის უზრუნველყოფა, მათი პერიოდული გამოკითხვა, ზეპირი თუ წერილობითი ფორმით; სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, შესაბამისი უკუკავშირის მიღება, მისი პროგრამაში გათვალისწინების მიზნით. ადმინისტრაციის თანამშრომლები უზრუნველყოფენ უშუალოდ კავშირს როგორც სტუდენტებთან ისე აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან. უსდ-ს წარმომადგენლების განცხადებით აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის პერიოდულად ტარდება საერთაშორისო ფორუმები, თუმცა დარგობრივი არაა. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება შედეგი გარემოებები: ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები, უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით არ არის გათვალისწინებული. შესაძლოა რომელიმე ხარჯის ქვეშ მოიაზრება თუმცა ცალკე აღებულად ბიუჯეტში ეს ნაწილი არ არის გაწერილი. ხარჯებში გათვალისწინებულია მივლინებები, თუმცა შინაარსში ჩაშლილი არ არის, რა იგულისხმება მის ქვეშ. იმისთვის რომ დაგვეზუსტებინა რა ოდენობას ითვალისწინება უსდ-ს ბიუჯეტი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსტში

ვიზიტის დროს პასუხი ვერ გაგვცეს. ასევე არ იკვეთება სწავლების გაუმჯობესების მიზნით გატარებული ღონისძიებები. საბოლოოდ, მთლიანობაში ამ მიზნებისთვის რა ოდენობის თანხები იხარჯება ამის დადგენა ვერ მოხერხდა
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • სამართლის სკოლის პროგრამის ბიუჯეტი; • მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის **უსდ-ს ბიუჯეტიდან მოხდეს გამოყოფა/თვალსაჩინოდ გაწერა დაფინანსების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დადებითად ფასდება. აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული აუდიტორიები და ა.შ. აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის.

რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი მოძებნა. ღია საბიბლიოთეკო სივრცეში წიგნები მოცემულია თემატურად.

უნივერსიტეტი აღჭურვილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი აუდიტორიებით. უნივერსიტეტს აქვს სასამართლო დარბაზი სადაც სტუდენტებს უტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები, მოდელირებული სასამართლო პროცესები რაც მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

ბიბლიოთეკა კომფორტულია მუშაობისთვის და კვლევისთვის. რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია მათი ელექტრონულად მოძებნა. ბიბლიოთეკაში დაცულია სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის.

სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკის განყოფილებაში განთავსებულია ისეთი უცხოენოვანი მონაცემთა ბაზები, როგორიცაა Cambridge University Press (კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა), Royal Society Journals Collection (სამეფო საზოგადოების ჟურნალების კოლექცია), OXFORD ACADEMIC Journals (ოქსფორდის აკადემიური ჟურნალები) და სხვ. თუმცა აღნიშნულ რესურსებზე წვდომა შეზღუდულია. შესაძლებელია სამეცნიერო სტატიების მოძიება თუმცა მათზე წვდომა ფასიანია. კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი იმუშავებდა სამართალში განსაკუთრებულად პოპულარული რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org-ისა და www.lexisnexis.com-ის უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

• მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა იმუშავოს სამართალში განსაკუთრებულად აქტუალური რესურსების, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com-ს უნივერსიტეტში გამოყენების დანერგვაზე. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობის პრინციპზე, რამეთუ, აღნიშნული რესურსები ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-მიერ მოწოდებული ბიუჯეტი დეტალურად განსაზღვრავს უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, ბიუჯეტით დგინდება, რომ პრიორიტეტიენიჭება კვლევით კომპონენტს, ასევე გათვალისწინებულია სტუდენტური აქტივებებისთვის

თანხები. ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. შესრულებული ბიუჯეტის დადასტურება ხდება ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად. ბიუჯეტში გაწერილია დაფინანსების წყაროები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის სკოლის ბიუჯეტი; • მემორენდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში, რაც მიზნად ისახავს პროგრამის განვითარებას. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს პერსონალის მონაწილეობას კოლეგების მიერ ჩატარებული მეცადინეობების შეფასებაში, მონაწილეობას პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოკითხვებში, მათ შორის გამოკითხვაში, რომელიც ტერდება ყოველი სემესტრის ბოლოს და გულისხმობს სემესტრის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული/წაკითხული სასწავლო კურსების შეფასებას. პროგრამის პერსონალი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით, ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით ახორციელებს სასწავლო კურსების სილაბუსების განახლება-მოდიფიცირებას, რაც ასევე ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას პროგრამის პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისად, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ციკლური პროცესია და მოიცავს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" ეტაპებს. ყოველწლიურად პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს, რომლის შედგენაშიც ჩართულია პროგრამის აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

შიდა ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები

შეფასების ინსტრუმენტი	**შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები**	**განხორციელებული ცვლილებები**
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება	მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლისა და სწავლების მეთოდები, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილ ცვლილებებთან.	განხორციელდა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შეფასების სისტემასა და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში. განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემაში და კომპონენტის განმახორციელებლი პირის მიერ გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებში.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება	მიზანშეწონილია პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობის გააქტიურება და გაძლიერება	ჩატარდა შეხვედრები პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან პროგრამის განვითარებაში მათი მონაწილეობის გააქტიურების მიზნით, განხორციელდა მათი გამოკითხვები და მათი მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განვითარებაში
კურსდამთავრებულთა გამოკითხვა	მიზანშეწონილია გაძლიერდეს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებაზე;	საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ საკვანძო კურსებში პრაქტიკული და ზოგად-ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე ორიენტაციის გაძლიერების მიზნით, თითოეული მათგანის ფარგლებში განისაზღვრა სტუდენტის მიერ აღნიშნული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კომპონენტი;

სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება	სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში ერთ-ერთი კომპონენტის სახით უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ყოველკვირეული გამოკითხვა (ქვიზი)	პროგრამის სასწავლო კურსებში, სწავლის ეფექტიანობის ამაღლებისა და სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით უკუკავშირის მიღების შესაძლებლობის ამაღლების მიზნით, ფართოდ დაინერგა შეფასების კომპონენტის სახით ყოველკვირეული გამოკითხვის (ქვიზის) გამოყენება.
სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება	მიზანშეწონილია პროგრამის კომპონენტის ,,სამაგისტრო კვლევის პროექტი“ (პროსპექტუსი) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან ამოღება.	საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან ამოღებული იქნა პროგრამის კომპონენტი ,,სამაგისტრო კვლევის პროექტი“ (პროსპექტუსი).
სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება	მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ,,ქართული ჩვეულებითი სამართალი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან ამოღება.	საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან ამოღებული იქნა სასწავლო კურსი ,,ქართული ჩვეულებითი სამართალი“.
სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება	მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ,, საერთაშორისო ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან ამოღება.	საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმიდან ამოღებული იქნა სასწავლო კურსი ,,საერთაშორიოს ინტელექტუალური საკუთრების სამართალი“.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება	მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ,,შედარებითი კერძო სამართალი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან ძირითადში გადატანა,	სასწავლო კურსს ,,შედარებითი კერძო სამართალი“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილია ძირითადში,

პროგრამის პერსონალის გამოკითხვა	მიზანშეწონილია, რომ პროგრამის სასწავლო კურსები წაიყვანონ პრაქტიკოსმა იურისტებმა	გარკვეული სასწავლო კურსების წასაკითხად მოწვეულ იქნენ მოსამართლეები,
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება გამსხვილებული სახით.	საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები და პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა გამსხვილე7ჰნბული სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოკითხვები;
- საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალის გამოკითხვები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა განვითარების მიზნით იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამამ, სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, განიხილა და შეასრულა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და საპილოტე რეჟიმში გაკეთებული ექსპერტთა რეკომენდაციები. კერძოდ, აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად, გაიზარდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების რიცხვი და პროგრამა გამდიდრდა პრაქტიკოსი იურისტებით, როგორიცა მოსამართლეები, მოსამართლის თანაშემწე და დარგობრივი სფეროს წარმომადგენლები, მაგალითად, აღსრულების ბიუროს თანამშრომელი, პოლიციის თანამშრომელი, ბანკის თანამშრომელი და ა.შ. ამასთან საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები გამდიდრდა საერთაშორისო ლიტერატურით და სასწავლო კურსები დაეფუძნა პრაქტიკულ კომპონენტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გარე ხარისხის შეფასების შედეგები;
- გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შემუშავებული დებულებების, წესების, პროცედურებისა და მექანიზმების ერთობლიობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტების საშუალებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას, აგრეთვე პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და პროფესიული განვითარების შეფასებას.

პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები

შეფასების ინსტრუმენტი	**შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებები**
აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყოველწლიური შეფასება	აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისა და შესაბამისი მაჩვენებლის ამაღლების მიზნით ჩატარდა 3-თვიანი ტრენინგი ინგლისურ ენაში.
აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყოველწლიური შეფასება	პერსონალის სამეცნიერო კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა ტრენინგი საუნივერსიტეტო ქსელიდან საერთაშორისო სამეცნიერო რესურსებზე (მათ შორის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე) წვდომის შესაძლებლობებზე.
სასწავლო კურსების განხორციელების	სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის

ყოველსემესტრული შეფასება	ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან სილაბუსით განსაზღვრული შეფასების მეთოდების შესაბამისობის თაობაზე.
პროგრამის პერსონალის გამოკითხვა	უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების მხარდაჭერისა და, ამ კუთხით, პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი პლაგიატის თავიდან აცილებასთან, პლაგიატის ფაქტების გამოვლენასა და მათზე რეაგირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
პროგრამის პერსონალის გამოკითხვა	სასწავლო კურსის მართვისა და განვითარების პროცესებში პერსონალის ჩართულობის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ამ კუთხით არსებული გათვალისწინებული შესაძლებლობების თაობაზე.
პროგრამის პერსონალის გამოკითხვა	სამეცნიერო/საგრანტო პროექტებში პერსონალის ჩართულობის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი სამეცნიერო/საგრანტო პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე
პროგრამის პერსონალის გამოკითხვა	სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა ტრენინგი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თაობაზე.
პროგრამის პერსონალის გამოკითხვა	პროგრამის პერსონალის კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგი კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიებში
სასწავლო კურსების განხორციელების ყოველსემესტრული შეფასება	პროგრამის ერთ-ერთი დარგობრივი სასწავლო კურსის განხორციელების შეფასების მიზნით ჩატარებულ გამოკითხვაში სტუდენტებმა დააფიქსირეს უარყოფითი პოზიცია ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდების თაობაზე. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საკითხის შესწავლის საფუძველზე ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ კურსის ლექტორს მიეცა შესაბამისი მითითება და რეკომენდაციები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით წარუდგენს უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად.

აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

1. „დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
2. „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
3. „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
4. „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერ-კვლევითი მუშაობისა და პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასება ხორციელდება ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების გრაფიკი სასწავლო წლის განმავლობაში მოტანილია ქვემოთ:

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების გრაფიკი

N	საქმიანობა	აკადემიური წლის I ნაწილი					აკადემიური წლის II ნაწილი						
		VIII	IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII
1	წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა. შეფასების ინდიკატორების, მეთოდების ან სამუშაოთა გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში, მათი გამოცხადება (ანონსირება).	X											
2	გამოცხადებული ინდიკატორების შესაბამისი მონაცემების შეგროვება		X	X	X	X	X	X	X				
3	საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება									X	X		
4	შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი										X	X	

	ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და ფაკულტეტებისათვის წარდგენა												

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პირველ ეტაპზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შეფასებას შეფასების ფორმით გათვალისწინებული ინდიკატორებისა და შეფასების წყაროების (პროგრამის სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსის სილაბუსი, პროგრამის განმახორციელებლ პირთა პირადი საქმეები, მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების შედეგები, სტუდენტების და პროგრამის განმახორციელებლ პირთა გამოკითხვის შედეგები) საფუძველზე. აღნიშნული შეფასება ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ სასწავლო კურსის შეფასების შედეგებს.

სასწავლო კურსის შეფასების ფორმაში მითითებული ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემმოწმებელთა მოსაზრებები გამოვლენილი ნაკლოვანების შესახებ აისახება სათანადო შენიშვნის სტრიქონში.
სასწავლო კურსის შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სასწავლო კურსის განხორციელების განვითარებას.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მეორე - შემაჯამებელ ეტაპზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის (და/ან უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების) წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შევსებით ხორციელდება დადგენილ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეფასება.

თითოეული სტანდარტის შესრულების ხარისხი ფასდება სათანადო ინდიკატორებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესრულების დონით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ფორმის ბოლო ნაწილში აისახება რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების განვითარებას.

პროგრამის შეფასების შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და შეფასების შედეგების ყველა დაინტერესებული მხარისათვის გაცნობისა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანის მიერ დადგენილ ვადებში პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო კურსების პასუხისმგებელ ლექტორებთან, უნივერსიტეტის კათედრებთან/ცენტრებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს მოსაზრებებსა და

წინადადებებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით არსებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. დარგობრივი სასწავლო კურსები აგებულია თანამედროვე საერთაშორისო საუნივერსიტეტო პრაქტიკით გამოცდილ სახელმძღვანელოებზე. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა; • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება); • შიდა ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები; • პერსონალის შეფასების შედგად განხორციელებული ღონისძიებები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართალი/LAW

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 57

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სოფიო შენგელია

<u>**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის**</u>

მაკა კარტოზია

დავით ელისაბედაშვილი

ილია წიკლაური